გადაწყვეტილება

N გ-22-19/209
19/05/2022

209-გ-22-1-4-202205191659

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2021 წლის 27 მაისის № გ-21-7/309 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ უცხოური საწარმოს ფილიალმა „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველომ“ (რეგისტრირებული ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ 2003 წლის 25 აგვისტოს, რეგ. № 5ა/8-149; ს.კ. № 205011609) კომისიას მიმართა განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის № შ-22-7/1891, 13.05.22) და მოითხოვა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2021 წლის 27 მაისის № გ-21-7/309 გადაწყვეტილებით მინიჭებული სიხშირეების - **408.500 მჰც და 415.300 მჰც (თითოეული ზოლის სიგანით 25 კჰც) ახალციხის, წალკისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში,** № **F 2551** რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების გაუქმება.

კომისია აღნიშნავს, რომ უცხოური საწარმოს ფილიალმა „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველო“ ფლობს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლებას № F **2551** შემდეგი პირობებით: სიხშირეები - **408.500 მჰც და 415.300 მჰც (თითოეული ზოლის სიგანით 25 კჰც) ახალციხის, წალკისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში,** ერთი წლის ვადით **- 2021 წლის 27 მაისიდან 2022 წლის 27 მაისამდე,** ოპერატიული რადიოკავშირისთვის, არაავტორიზებადი საქმიანობისთვის, დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით, 2021 წლის 27 მაისის № გ-21-7/309 გადაწყვეტილებით.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტის და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 29-ე მუხლის მე-16 პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლების გაუქმების საფუძველია რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლების მქონე პირის მოთხოვნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 29-ე მუხლის მე-16 პუნქტის ა) ქვეპუნქტის თანახმად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად ერთხმად

გადაწყვიტა:

1. გაუქმდეს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის № F **2551** უფლება და ძალადაკარგულად გამოცხადდეს უცხოური საწარმოს ფილიალმა „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოსთვის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ კომისიის 2021 წლის 27 მაისის № გ-21-7/309 გადაწყვეტილება;

2. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას გადაწყვეტილების „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოსთვის“ გაგზავნა და კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება;
3. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე;
4. დაევალოს აპარატის სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტს (ა. ქარუმიძე) და აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი) ინფორმაციის კომისიის უწყებრივ რეესტრში აღრიცხვა;
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) გადაწყვეტილების „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოსთვის“ ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;
6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

ვახტანგ აბაშიძე

თავმჯდომარე - მ.შ.

ეკატერინე იმედაძე

წევრი

ივანე მახარაძე

წევრი